ზაზა ქაცარავა

პროფესორი, MD, PhD, MSc. ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ევანგელისტური ჰოსპიტალი, უნა, გერმანია. ნევროლოგიის პროფესორი, ესენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, გერმანია.
თავის ტკივილის ევროპის ფედერაციის საბჭოს წევრი და ხაზინადარი. თავის ტკივილის საერთაშორისო საზოგადოების რუსული ლინგვისტური ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. თავის ტკივილის საქართველოს ეროვნული ასოციაციის თანათავმჯდომარე.

განათლება

დაამთავრა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი. კვალიფიკაციის კურსი გაიარა საქართველოს ექიმთა დახელოვნების აკადემიაში ნევროლოგიის სპეციალობით. დისერტაცია დაიცვა თბილისის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. სწავლა გააგრძელა ესენის უნივერსიტეტში (გერმანია), ნევროლოგიის და ფსიქიატრიის სპეციალობით. კლინიკური ეპიდემიოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის წოდება მიიღო ბოსტონში, ჰარვარდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლაში და სამედიცინო ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიკატი ბალტიმორში, ჯონს ბლუმბერგ ჰოპკინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლაში (აშშ).

მეცნიერება

პროფესორ ზაზა ქაცარავას ძირითად სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს თავის ტკივილი და ზოგადად ტკივილი; კერძოდ, ქრონიკული თავის ტკივილის განვითარების რისკის ფაქტორები და მექანიზმები. ქრონიკული თავის ტკივილის მექანიზმების დასადგენად სწავლობდა ტკივილის ნეიროფიზიოლოგიური ქსელის პლასტიურობას, რისთვისაც იგი იყენებდა ელექტროფიზიოლოგიურ და ნეიროგამოსახვის ტექნოლოგიებს.

პროფესორი ზაზა ქაცარავა, როგორც რამდენიმე მასშტაბური პოპულაციური კვლევის მთავარი მკვლევარი, აკვირდებოდა ტკივილის ქრონიკულად გარდასახვის ხელშემწყობებს და რისკის ფაქტორებს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

პროფესორი ზაზა ქაცარავა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობს საერთაშორისო თანამშრომლობაში, რომლის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თავის ტკივილის პრობლემების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება და თავის ტკივილთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

პუბლიკაციები

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი რეფერირებად და სხვა სახის ჟურნალებში.

Prof. Dr. med. Zaza Katsarava – Chefarzt, Klinik für Neurologie Evangelisches Krankenhaus Unna Medizinische Fakultät, Universität Essen.

Holbeinstrasse 10, 59423 Unna.
Tel: 02303-106-336 (Frau Bonin)
Fax: 02303-106-112.
e-mail: zaza.katsarava@uk-essen.de
www.ek-unna.de